

თეატრი

საქართველო კვირამ სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1889 წელსა

№ 11

მარტი 19

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მან.,
ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე №-15 კ.
ხელის მოწერა მიიღება: თბილის-
ში რედაქციის კანცლარაში. Тип-
листь, въ редакцію газеты
„ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება:
თბილისში, ჩარკვიანის წიგნის მა-
ღაზიაში და ბებუოვის სააგენტოში.

რედაქცია არა კისრულობს წერი-
ლების უკან გაგზავნას და მათ
შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბეჭდათ გამოგზავ-
ნილ წერილებს უნდა ჰქონდეს მო-
წერილი სახელი, გვარი და ად-
რესი დამწერისა.

ახალი აგზები.

ქველ მოქმედება და ტანჯაობა. სატურანგეთში. ერთი გა-
მოჩენილის გეარის ქალი მიბძანდა თუ არა ბალში—მაშინვე
გაქანა იმისკენ ვილაც «გამოწკეპილი» ვაჟი და სთხოვა ჩემ-
თან იტანცავეთო. «დიდის სიამოვნებით, თანახმა ვარ—უპა-
სუხა ქალმა.—ოცი ფრანკი მიბოძეთო». უკაცრავად, ქალბა-
ტონო, —ლიმილით შეუბრუნა სიტყვა «კავალერმაჟ, ალბად
ვერ გაიგეთ, რასაც მოგახსენებთ. მე გთხოვეთ ჩემთან იტან-
ცაოთ ვალსი.

— «თქვენ მართალი ბძანდებით, შეეცდი, მე მეგონა
თქვენ მთხოვდით კადრილის თამაშობას, ვალსის თამაშო-
ბას-კი ორმოც ფრანკათ ვაფასებ».

ვაჟი უფრო განცვიფრდა, მაგრამ ქალმა აუხსნა მომზიბ-
ლაფი ღიმილით: «წინაღვე მოგახსენებთ, მოწყალეო ხელმ-
წიფე, რომ მე, მართო ღარიბების სასარგებლოდ ვთამაშობ.
კადრილს ვაფასებ ერთ ლუიდორად, ვალსს-კი—ორად. ფასე-
ბი ვადაწყვეტილი მაქვს და დაკლება არ შემიძლიან» —ო.

ეს კარგი მაგალითი არის, მაგრამ რადგანაც ჩვენი ქალე-
 ბი თავის დღეში ამ ქალს ვერ მიჰბაძავენ, ისევე სჯობს ტან-
 ცაობას დაედოთ ბაჭი ღარიბების სასარგებლოთ, რამდენჯე-
 რაც ვინმემ ვერ მოითმინოს და ითანაშოს კადრილი, იმდენჯერ
 ერთი კაპეიკი გამოვართოთ, რამდენჯერაც ვალსი — იმდენი
 ორი კაპეიკი და სხვ. და ერთ წელიწადზე იმდენი მოგროვ-
 დება, რომ თბილისში ღარიბები, მთხოვარები გოლოვინის
 პროსპექტზე ხუთ ატაჟიან სახლებს ჩაჰკომავენ.

ზოგიერთების საყურადღებოდ. გაზეთები ამბობენ, რომ
 სენატს გადაუწყვეტია; თუ სამსჯავროში უფროსი ხელს გა-
 უწყვდის თავისს ხელქვევითს და ეს უკანაქნელი არ ჩამოარ-
 თმევს — სამართალში მიეცემა, როგორც შეურაცხყოფე-
 ლი თავისის უფროსისა „სამსახურის აღსრულების დროს“.

გაგზარჩანთ, რომ ბეგრი უფროსი სიამოვნებით ჩაიცი-
 ნებს ამ ამბის გაგებაზე!!!

დიოკენს აჯობა აშკრაკელმა. ბრიუსელში გარდაიცვალა
 ერთი ამერიკელი, რომელმაც მთელი თავისი საცხოვრებე-
 ლი, ნახევარ მილიონი ფრანკი, ერთს უცნობს ქალს და-
 უმტკიცა. აი ეს როგორ მოხდა. ეს ამერიკელი დიღხანს ეძებ-
 და მატროსანს ადამიანს. ამ განძრახვით ომნიბუსით დადიოდა
 და კანდუქტორთან დადგებოდა ხოლმე. კანდუქტორი, რომ
 ფულის ხურდას აძლევდა ომნიბუსში მსხდომებს, ეს ამერიკე-
 ლი ართმევდა გადასაწოდებლად და ხურდას, შეუნიშნავად,
 უმატებდა თავის ფულს. ორი წლის განმავლობაში ვერ იქნა
 და ვერ შეხვდა იმისთანა კაცს, რომელსაც კანდუქტორისა-
 გან, ვითომდა, გადაყოლებული ხურდა დაებრუნებინოს. ყვე-
 ლა სთვლიდა ხურდას, მაგრამ რომ ნახავდნენ მეტი არი-
 სო — ჯიბეს იკრავდნენ ხოლმე. ერთმა ქალმა გადათვალა და
 დაუბრუნა გადაყოლებული ფული. ამერიკელმა მაშინვე

შეიტყო ამ ქალის ვინაობა და მთელი თავისი საცხოვრებელი უნაღვრდა...

დიოგენი ზღამიასს როგორ იპოვნინდა, როდესაც ამერიკელმაჯ კი ორის წლის განმავლობაში ძლივს მიაგნო!

ქართული თეატრი



არტის თერთმეტს, ქართულ დასის არტისტებისაგან იყო დანიშნული წარმოსადგენათქმასკარადი—ლერმონტოვისა. ხალხი ძალიან ბევრი მიაწყდა თეატრს, მაგრამ წარმოდგენა-კი გადადეს. ხმა დაეარდა საზოგადოებაში, რომ არტისტებმა კასსირს თეატრის ქირა არ ჩააბარეს და ამისათვის კასსირმა თეატრი არ მისცაო. ეს ტყუილია. კასსირმა ბილეთების ყიდვა უნდა დაიწყოს წარმოდგენის წინა დღეს მაინც; წარმოდგენის დღეს სალამოს შეიდი საათიდანვე უნდა გააჩირაღონ თეატრის დერეფნები და მისაველი. თუ, ვინიცობაა, წარმოდგენის დაწყებამდე იმდენი ფული არ შევა კასსაში, რომ თეატრის ქირა დაუარას, მაშინ, კასსირს შეუძლიან გამოუცხადოს წარმოდგენის მოთავეს, რომ, თუ თეატრის ქირას არ შეავესებთ,—წარმოდგენის ნებას არ მოგცემთო;—ბილეთები-კი მაინც უნდა ყიდოს, სანამ არტისტები გამოაცხადებენ წარმოდგენის გადადებას. ეს ასე არის მთელს რუსეთში, ასე არის საქართველოში, ასე იყო აქამდის თბილისში ქართველებს თეატრში... ქართველებისათვისაც. ხსენებულ სალამოს კი ეს წესი, ჩვეულება, ვილაც გაიძვერა კაცის წყალობით შეიცვალა: თეატრის მისაველი (подъездъ) ამ სალამოს სულაც არ გაუნათებიათ; კასსასთან და თეატრის დერეფნებში ვილაც დაქირავებული ბიჭ-ბუჭები იდგნენ და აერცვლებდნენ ხმას, რომ ელექტრონის მაინის ტრუ-

ბები გაუუქდა, თეატრს ვერ გაანათებენ — წარმოდგენა არ იქნებაო; რასაკვირველია, არა ერთი კაცი გააბრუნეს უკან, მაგრამ ამით უდიდესი ზარალი არ მოუყვებოდათ წარმოდგენის მოთავეებს, თუ კიდევ სხვა, ახალი ხრიკი არ მოგონებინა იმავე გაიძვერა კაცს.— ჩვენი საზოგადოება სწორედ ფარდის ახდის დროს მიაწყდება ხოლმე თეატრს. ხშირად, ძალიან ხშირად ჰხდება, რომ სალამოს რვა საათის ნახევარზე — სამი, ოთხი მანათის ბილეთი არ არის გაყიდული, მაგრამ რვა საათის შესრულებამდე 300—400 მანათისა გაიყიდება ხოლმე. (წარმოდგენა რვა საათზედ იწყობა). ამ სალამოსაც ასე მოხდა. 7¹/₂ საათზე უცებ იმოღვანა ხალხი მიაწყდა კასსას, რომ არა ნაკლებ 300—350 მან. ბილეთი გაიყიდებოდა. ამ დროს კასსირმა გამოაცხადა: ბილეთებს აღარ ვყიდი, წარმოდგენა არ იქნება, რადგან თეატრის ქირა (130 მ.) არ მომცესო. ხალხი აჯანყდა და დაიწყო ჩხუბი. შემდეგ მივიდნენ კასსირთან ვიღაც ჩინოფნიკები და უთხრეს: გააღე კასსა, მოგვეყიდე ბილეთები, აქ ცამეტი თუმნისა-კი არა, რატო ორმოცი თუმნის ბილეთი არ გაიყიდებოა. კასსირს მეტი ილაჯი აღარა ჰქონდა, დაიწყო ბილეთების გაყიდვა, მაგრამ... მიინც არც ამით გათავდა საზოგადოების სასაცილოდ აგდება... გამოვარდა თეატრის ზედამხედველი და გამოუცხადა ხალხს: ბილეთებს ტყუილად ნუ ჰყიდულობთ, ელექტრონული მაშინა გავანელებინე და თეატრში სინათლე არ იქნებაო. ამ დროს-კი საზოგადოება მოთმინებიდამ გამოვიდოდა და თუ ბ-ნი ზედამხედველი, სანამ პოლიცია მოვიდოდა არ მიმალულიყო, სწორედ მოგახსენოთ, კარგად გაჰპენტამდნენ... არტისტებმა მოიწვიეს პოლიცია და აქტი შეადგენინეს.

ეხლა იკითხავს მკითხველი: რამ გამოიწვია ასეთი უწყესობება, საზოგადოების ასე სასაცილოდ აგდებაო?... აი, ბატონებო, საქმე რაში იყო. თეატრის ზედამხედველად ბ-ნი აღნიშნული გახლავთ. ამ ეაქტორანის სუჟიჟის, ამისთანა შემთხვევაში, თუ რამე ყველა სტაროჟი თეატრისა, მაშინისტი

ელექტრონული მაშინისა და სხე.—უნდა ემორჩილებოდეს ალნაშვილს, მეორე დღეს, კვირას, დანიშნული ჰქონდა თავის სასარგებლოდ კონცერტი და ამისათვის ასე გადაწყვიტა: „მასკარადი“ დიდი ხანია არ უთამაშნიათ ქართულს სცენაზე და დღეს, ნამდვილად, ბევრი ხალხი მოვაო;—ვინც დღეს იქნება თეატრში, ხვალ, ჩემ კონცერტზე, აღარ მოვა, ამით შემოსავალი დამაკლდება და, რაც უნდა მოხდეს—დღევანდელ წარმოდგენას არ გავამართებო. ასეც მოახდინა. აქ უნდა მოგახსენოთ, რომ, რა დღესაც წარმოდგენა არის დანიშნული—ალნაშვილს არა აქვს უფლება არც რვა საათზე, არც ცხრაზე—ელექტრონის მაშინა ჩააქრობინოს, თუ წარმოდგენის მოთავე არ შეატყობინებს, რომ წარმოდგენა არ იქნებაო... მაგრამ იმისთანა კაცს, როგორც არის ბ-ნი ალნაშვილი, ფულის მოგების ფიქრი ვინ იცის რა საქმეს არ ჩაადენინებს!!!...

არტისტებმა ალნაშვილზე და კასირზე საჩივრები შეიტანეს: ერთი—ბანკში და მეორეც—სასამართლოში.

დამსწრე.

ი. ღაზითაშვილის ლექსები *).



უნდ ვკდებოდე შიშპილითა,
არა მქონდეს ლუკმა ჰური,
მანც კიდევ თვალ-წინ მიდგა
კეთილ საქმის სამსახური.

*) მივიღეთ თელავიდან ბ. გ. ბ-ქსაგან. როგორც ბ. ბ-ქე იწერება ეს ლექსები ჯერ არსად არის დაბეჭდილი.

დაძიბასკთ, რაც რომ კსურდეთ:
 თუნდ უშნო და თუნდა ვირი,—
 დამერწმუნეთ მაინც არ ვსთქვა
 არავისსედ საუვედური.

ჭირსა და ღსინს ერთად ვითმენთ
 მე და ჩემი ჭრელი სტვირი,
 მე ვმღერი და ის ბანს მამღევს:
 „სიკეთისკენ ვქნათო ჰირი“.

1886 წელს.

მუშის წუნიას.

რა შეგცოდა, მუშას სწუნობ,
 რისთვისა გმულს ტარელო?
 თვით უშნო და უღასათო,
 ფუჭო, გოგრა-ცარელო!
 შენ რა იცი მუშის ფასი,—
 მუქათათ ძღვები, როგორც სვავი,
 შენი თავის არა მცნობი,
 სსვის წუნია, სსვის მკიცხავი!
 მუშა ვარ და მუშის მკლავი,
 ვიცი და მწამს, ნაკურთხია!
 და ვინც მუშას კაცად არ სცნობს,
 საფურთხია, საფურთხია!..

1886 წ.

* *

წუთის სოფელში ცხოვრება
 მემქნა გასაჭირადა!
 მიჯობს, რომ მოვკვდე დროისად,
 რათ დავალ ქვეყნას ზირადა?
 არ იქნა, სადაც მინდოდა,
 ვერ გავიუვანე არსია;
 ვერ დავაბრუნე რაღა ვქნა,
 წაღმა ცხოვრების ჩარსია!
 რათ არის კაცი ცოცხალი,
 რომელიც ქვეყნის ბარკია,—
 ვინც რომ მოქმედებს თავისთვის,
 სსვებს კი არაფერს არკია!...

1886 წ.

ბ. აღნიაშვილის სოციალ.



ამი, თუ რთის წლის წინად ბ. აღნიაშვილმა გააკრტულა
 სმა, რომ ქართული სოციალ უნდა შევადგინო: ჩვენს
 საუკეთესო სიმღერებს გადავკლებინებ ნოტებსზე, შევ-
 კრებ ყმაწვილ-კაცებს, ვიშოვნი ღობარს და ვასწავლებინებ, რომ
 ნაციონალური სმები (МОТИВЫ), სიმღერები არ დაკავიწუდესო.
 როგორც ვხედავთ დიდათ შატოისანი განზრახვა და ყველამ სე-
 ლი მოუძართა, ყველამ წააქვსა. შემდეგ—რამდენიმე დეკსი გადა-
 ლებინა ნოტებსზე, / გამოკებსა მოსწავლე ყმაწვილები, ღობარად

აიყვანა კარგი მომღერალი და მცოდნე ნოტებისა — არტისტი ბ. რატილი და დაიწყო საქმე.

ორი წლის წინად ქართულ თეატრში გამართა კონცერტი-მოკისმინეთ. ხორცს ეტეობოდა, რომ გამოცდილი ლოტბარის სელმძღვანელობის ქვეშ იყო. ნაკლუდეკანებაც ქჭანდა, მაგრამ ეს მიეტკებოდა: ახლად დაწყობილი საქმე იყო, მეორეც ესა, რომ არტისტი-ლოტბარი ჩჭარა გაასწორებდა ნაკლუდეკანებას, ამისათვის საზოგადოებამ ძალიან კარგად მიიღო რატილი, აღნიშვილი და ხორც.

ამის შემდეგ დადგა ფეერია «უარამანი». თეატრში ტკვა აზ იყო. ეს ფეერია თვით აღ შვილმა შეადგინა და ისეთი სისულელე იყო, რომ ჩვენს სტენას ამაყე მეტი დამტყინება თავის დღეში არა ჭჭგებია, მაგრამ საზოგადოებამ შატვიო სტა იმ საქმეს, რომლისთვისაც შემოსავალი უნდა გადადებულიყო (სიმღერების ნოტებზე გადასალება მინდაო, «აჯჩაღებდა» აღ-შვილი) და ფეერია ბოლომდინ მოისმინა. გაიარა რამდენიმე ხანმა და შეადგინა მეორე ფეერია — «ტარიელი», დადგა სტენასზე. «ტარიელი» უარესი გამოდგა.

გაიარა 4—5 თვემ. აღარა ტკვსმოდა-რა ხორცზე. წარსულს კვირას, 12 მარტს, უცებ, ელვასავით განათა აფიშებმა, რომლებმაც გვაუწყეს რომ აღ-შვილი გაჭჭართავს ქართულ კონცერტს ბ. ბერძინის ლოტბარობით, რომელშიაც «თერამეტი კეთილშობილი ქალი» მიიღებს მონაწილეობასო.

წავიკითხეთ აფიშა და ფრთები ჩამოვეყართ, განცვიფრებულნი კვითხულბოდი: განა აღ-შვილმა კარების გზა უჩვენა არტისტს რატილს? ან რას ნიშნავს «კეთილშობილ ქალთა ხორც»?... რასაკვირველია ეველა ამან აღძრა ჩვენში ცნობის მოუყარება და გავუშურენ თ თეატრისაკენ. აინდა ფარდა. აიწია შატვიცემულმა ლოტბარმა ფესი, გაირტვა კომერტონი, მიიტანა ყურთან და «მისტა ტონი» მომღერლებს. დაიწყო «გუთნური», «ჩამკლური» და სხვ. გათავდა შირკული განყოფილება. თქვენი მტერი, რომ ჩვენ ჩავიფუფქინით: აღარც უწინდებური გაბედულობა ხორცისი, აღარც

უნინდებურად შეწოილი სმები... დაიწყო მეორე განყოფილება — ის განყოფილება, რომელსაც უნდა აეხსნა ჩვენთვის რა არის, რას ნიშნავს უკეთილშობილ ქალთა სოროა!... დავინახეთ ჩინტი-კოპჩანი, სარტყელ-გულისპირიანი ბალები. ამათ სიმღერაზე არას ვიტყვი, ან კი რა მოკთხოვებათ მეორე, მესამე კლასის უკომნაზისტებსა. გათავდა ესეც დაიწყო მესამე განყოფილება და... გათავდა უკანური გრძელი მრავალ ყამიერით?!

მერე? რა მოვისმინეთ. რა ვნახეთ, რა გავიგეთ? მოვისმინეთ სიმღერა, რომელმაც დაგვარწმუნა, რომ სოროს დავიწყება რატილისაგან ნასწავლი ნოტები და სიმღერები; მოვისმინეთ როგორ გაბზინდნენ სორისტები: ერთი-ალთას, მეორე-ბალთას. ვნახეთ უმატრონო ბავშვები ჩინტი-კოპ-სარტყელ-გულის-პირით გამოწოილები. გავიგეთ, რომ აღ-შვილს დავიწყება პატროსანი კაცის მოვალეობა, გზისათვის გადაუსვებია და წმიდა საქმე ფულის მოკების საღსრად გადაუჭტეკია.

აქ, ჩვენს თავს მოვალედ ვრაცნო, პირდაპირ, დაუფერებელი ვთქვით ორიოდ სიტყვა ამ საქმის შესახებ.


თუ ბ. აღნიშვილს არ მოეწონა არტისტი რატილი — ისეთი კაცი, რომელსაც მუსიკა საფუძელიდან აქვს შესწავლული, რომელსაც რუსულის სტენის მომღერალ არტისტის სახელი აქვს დამსახურებული და, რომელმაც ქართულ საქმეს ისეთი თანაგრძობა და შემწეობა გამოუჩინა, რომ უსასყიდლოდ ასწავლიდა ახლად შედგენილ სოროს, — იმდენი მინც უნდა ეზრუნა, რომ ცოტა რიგინი ღოტბარი ემოკნა და არ ჩაეფუშნა ის საქმე, რომელმაც უცხო კაცის (რატილზე გამბობთ) შრომით ფეხი აიდგა. თუმცა აღ-შვილს არ, აქვს მუსიკალური სმენა (СЛУХЪ), ნოტები არ უსწავლია, სიმღერა არ იცის, მაგრამ, გვერდის, შეიმღებოდა კეთილს სხვისათვის: რა იყო, ვინ იყო ის, ვისაც სოროს მმართველად ეპატაებოდა? — ბ. ბერიძე ცნობილია ისეთ კაცად, რომელსაც — თავის დღეში არ გაუგონია ქართული სიმღერა, ქართული კილო, ხმის მიხერა-მოხერა... ნოტები იმდენად აქვს შესწავლული, რომ «пчелка»-საც ვერ იმღერებს გაბეღვით.

ან-გი საიღამ უნდა იცოდეს?—გალობდა «КОЗЛИКЪ»-ს და თავისი „მუსიკალური აბრავანე“ გაათავა ГОСПОДИ ПОМИЛУИ თ. აღ-შვილს წინადაკე შექმლა ამის გაგება, მაგრამ... ბერძენ ბანკში მსასურაბს... ეს უკელა კარგი. ვთქვათ აღ-შვილმა ხოროს კარგი მმართველი ვერ იშოვნა, (უკველ დღე ბალანჩივაძესთან-გი „დასეირნობდა“) —მაგრამ აქროს აფიშებს, რომ აერვდა და თატრში გვეპატიუებოდა, რას ფიქრობდა, რა უნდა მოისმინოს საზოგადოებაში? ნუ თუ ფიქრობდა, რომ დაგეტკებოდა ბერიძის პამუღლობით? . მართლაც და სხვა ამასე უკეთესი სასული არ დაუქმევა უქანასკნელის ქვევს: გამოდის ბნი ლოტბარი (!) ბილანაშვილის ქალთან სამღერად. მღერინა. გვგონდება „ОСЕЛЪ КОЗЕЛЪ“... გამოქვევს ხორო; აქლევს ხმას. იწუებენ. გვესმის, რომ ხუთ-ხუთ ტრიდტკა დაღუული სალდათები უფრო მწუბობად იმღერებენ, ვინემ გამონენილი ბერიძის მომღერლები, ბნი რე-ლენტი-გი სიცვიისკან დაბუნული ყვავივით აზარტუნებს ფრთებს (дирижуруеть რადა) და ის-გი არ ესმის—ვინ საით გარბის! უკელა ამას მოადევს უგვანო და საბაგელი მაიმუნობა ი. კარ-გარეთლისა— „იმი“ ში... თავდება როგორც ზევითაც ვთქვით „კანური (?) გრძელი შრავალუაიერით“, რომელიც ისე მიემსგავსება კანურს, როგორც ბერიძე—ლოტბარს (რეღენტს) და აღნი-შვილი—სლავიანსკის.

(დასასრული შემდეგ №-ში).

დაუპატიჟებელი სტუმარი

(თარგმანი)


 ს ამბავი მოხდა ახალ-წლის წინა დღეებში; სასახლეში ძალიან ბევრი სტუმრები შეიკრიფნენ, სულ ნათესალები და მეგობრები პოლკოვნიკი ლედიარდისა. რამდენიმე თვე მე და მარიონას არ გვენახა ერთმანეთი და როდესაც ის შეხვტიყობოდა ამ დღისათვის სტუმრათ, იმავე წერილში მწერდა და ბოდიშს ისდიდა, რომ წინათვე არ შეტყობინა თავის დანიშვნა უაიონზედ (წინანდელი ამ სასახლის პატრონია).

„ნუ მამილოცამ დანიშენას, მწერდა ის: „მე თითონ არ ვიცი ვნდები თუ არა იმის შესთავაზე. შენ სომ იცი, რომ ამ ერთი წლის წინად, როდესაც სამხლვარ გარეთ ვიყავი, მე შემიუვარდა ერთი უმაწვილი კაცი, მაგრამ იმაზედ ფიქრის ნებაც კი არა მაქვს იმიტომ, რომ უფ. მორდაუნტი არც მალელი ფარდის კაცია და არც მდიდარი. იმას გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ იმის ცოლი შევიქნებოდი. იქიდგან დაბრუნების შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა და მე ვერანც არა ვიცი რა, ისიც-კი არ ვიცი ცოცხალია თუ მკვდარი.

მამა ჩემს ძალიან მოსწონდა უფ. უაიონი. თუმცა არც ის არის ძალიან მდიდარი, მაგრამ მამა ჩემი ასე ამბობს: შვალო, ჩემი შემკვიდრე მარტო შენა სარ და რათ მინდა, რომ უეჭველად მდიდარი საქმრო მოვქმდებოკო, მაგრამ, როდესაც დეოან-მორდაუნტი-ზედ იყო ლაშარავი, ამ აზრს მამი ჩემის თავში გაკლითაც კი არ გაუკლია. აჰ, გათავდა იმათ, რომ მე დავთანახმდი. შენ, ჩემო დეენი, იქნება სთქვა, რომ ცუდათ მოვიქცევი, არ უნდა შელაღატნა მორდაუნტისათვის, მაგრამ უაიონი ისეთი კეთილი და ყველაფერი გაჩვია, რომ ვერ წარმოიდგენ, — ასე, რომ მე ჩემს თავს ამ უამად ბედნიერად ვსთვლი...“

ამ წერილის გათავების შემდეგ გავწიე სასახლისკენ. მივიდი თუ არა, შევალე მარიონის პატარა—ცალკე ოთახის კარები.

— ოხ, ღუენი! ნახევარ საათია რაც შენ გელი მოუთმენლად, ჩაიც მოგიმზადე.

— უფალი უაიონი აქ არის? ვკითხე მე.

— არა, გენაცვავ, აქ არ არის, ის ძალიან გვიან მოვა, თითქმის სადილობისას; ნუ გეშინიან, ის ჩვენ არ დაგვიშლის, და ცოტათი გაწითლდა.

— რატომ არ გინდა, ჩემო მარიონ, ესლაკე ვინაზო?

პასუხის მაგიერ ჩემად ჩაინან თავისეზურად, რაც მე ძალიან მეჭაგრებოდა. მეც დაიწყო სხვა-და-სხვა საგნებზე ლაპარაკი, მაგალითად: როგორი ბალი გვიქნება, რა წარმოდგენებს ვინახამთ, როგორი არტიტები გვეულებიან და სხვა-და-სხვა, ერთი სიტყვით ჩემი კითხვა სრულებით გააქარწყლდა. სასით ძალიან სიმბიარულეს მაჩვენებდა, მაგრამ გულში კი, როგორც ვატყობდი, რაღაც დარდი ჩარჩენდა.

— როდისა გაქვს ქორწილი? ვკითხე მე. სასე სრულებით შეეცვალა, აღარც ის სიწითლე, აღარც სიმბიარულე ეტყობოდა.

— ძალიან ჩქარა, ჩემო ღუენი.

— ოხ, ჩემო მარიონ, მე და შენ ხო მეგობრები ვართ, რატომ არ გინდა, ვიდრე მე კითხვებს მოგცემდე, სუყველათყობი დაწვრილებით მიამბო, რაც ამ ქორწინებას შეეხება.

— ბეჭრი არათყობა სათქმელი, მიპასუხე მარიონამ—როდესაც ჩვენ აქ ვადმოკედით, ანუ ამ სასახლეში, მამა ჩემს საშინლად მოეწონა უფო. უაიონი, რომელიც უწინ ამ სასახლის პატრონი იყო. ის ძალიან იშვიათად დაიარებოდა ჩვენსა, ეტყობოდა ძალიან ენელებოდა ამ სასახლეში სიარული, რადგანაც სტუმრის სახელს ატარებდა, მაშინ, როდესაც ერთ დროს საკუთრივ იმას ეკუთვნოდა; აქ იყო დაბადებული და გაზდილი. მეორეც ესა, რომ ერთ რაღაც საზიზღარ სურათს აგონებს ეს სასახლე იმას, ესე იგი... ცნობრებას პირველ ცოლთან.

— ცოლთანაო? რატომ აქამდისინ არ მეუბნებოდი თუ ქვრივი იყო?

— როგორ, არ მითქვამს? თუმცა ჯერ ასაღვანდა არის, მაგრამ ქვრივი კია. უჰ, ვერ გეტყვი რა უბედურ მდგომარეობაში ყოფილა პირველ ცოლის ხელში; როგორც წელან გითხარი უფ. უაიონი საშინელი კეთილი გულის კაცია და ცოლი-კი ისეთი გაუტანელი და ანხნლი ხასიეთისა ჰყოლია, რომ ვერ წარმოიდგენ და, ახა ერთი მითხარი, როგორი ცხოვრება ექნებოდათ.

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ ერთი ეს მითხარ, შენ დარწმუნებული ხარ მაგის მაგებარ კარგ ხასიეთში? იქნება გატყუებს?

— სრულებით დარწმუნებული ვარ; არამც თუ მე, აი თუნდა შენც დარწმუნდები, ისეთი მტკიცე და ნათელა ხასის გამომეტყველობა აქვს, რომ პირველ შესდევასევე შეატყობ, რა პატიოსნებით არის სავსე.

— თუ გახსოვს ვისა ქალი იყო მაგისა პირველი ცოლი?

— ის იყო მორდაუნტის ქალი.

— შენი პირველი საქმროს ნათესავი ხომ არ იყო?

— მგონი არა, საჩქაროთ წარმოსთქვა მარონამ, მაგრამ გენაცხა დეენი, იმის სახელს ნულარ ვასხენებთ, იმიტომ რომ...

— გამოგონე, ჩემო მარონ, თუ შეიძლება დეს ერთ კითხვას მოგცემ და მიზასუხე, რა მიზეზი იყო, რომ მამა შენს, ლედიარდს, არ მოეწონა შენი პირველი საქმრო?

— აი რა. სამძღვარ გარეთ, რომ ვიყავი, ძალუასთან, მაშინ გავიცანი ის უმაწვილი. ძალუა ჩემს ვერაფრათ ესამოვნა და თითქმის მაშლიდა კიდეც იმასთან ლაპარაკს, რადგანაც, როგორც წელან გითხარი, მორდაუნტი არ იყო მდიდარი კაცის შვილი. ეს ძალუა ჩემისათვის საკმარისი საბუთი იყო, რომ შესჯავრებოდა უფ. მორდაუნტი, ზღვა და მამა ჩემს მოსწერა წერილი. ამ წერილის პასუხათ მოგვივიდა მამაჩემისაგან, რომ არამც თუ ლაპარაკის ნება არა მქონოდა ჩემს საქმროსთან, არამედ დანახვასაც ვი მიკრძალავდა. ძალუა ჩემი მითომ უფრო გონივრულად მოიქცა, ზღვა და გამოსწია აქეთკენ. წინა დღით შეეტყო ეს ამბავი მორდაუნტს, მოვიდა სანასავად და შემდეგის სიტყვებით გამოემთ-

ხაკა: ესკა თუ ისე, თქვენ უთოთ ჩემი ცოლი უნდა იყოთ და ჩემი სასული ატაროთ — ეს იყო მისი უგანასკნელი სიტყვები.

— მეტი, შენ ძალიან გიყვარდა?

— რა საჭიროა, რომ უეჭველად ძალიან დიდი სიყვარული მქონოდა, და ჩაიციხა ისევე თავისებურად, რა საქციელიც მე საშინლად მადლეკობდა.

— ეს, ჩემო მარონ, მაგკვარი გულგრილობა არ გამოგადგება ქმართან, ეგ სასიუეთი თუ შეგევა — იცოდე ჩემგან, რომ სრულებით გაუბედურდები.

— სულ ტყუილია, ჩემო დეენი, მე გგონებ, რომ ყველანაირად ბედნიერი მე ვიქნები, მაგრამ რაღა დროს ამაზედ ღაზარაკია. აგერ მგონი სადილისთვის რეკენ, შენი ღამის სადგომი ოთახი ჩემს ოთახთან ახლოა, ესღა ჩვენი სახლი საესეა სტუმრებით.

— იქნება იმ ოთახშიაც სდგას ვინმე? აი, იქ, ვითომ ალუბი და რაღაც კმაკები რომ არიან?

— არა, ამაში არავინ არის, მე და მამა ჩემი ცრუ მოწმუნენი არა ვართ, თუცა უფ. უაიონი ძალიან გააფრთხილებს, რომ იქ არავინ შევიდეს, შეიძლება ვისმეს, შიშისა გამო, შეჩვენოს რაღე, და მაშინ თქვენ სახლს ცრუდი ხმა დაუვარდება.

ამ ღაზარაკის შემდეგ შევედით სასტუმრო ოთახში. იქ ბლომად მყრილიყვნენ სტუმრება, სხვათა შორის უფალი უაიონიც იქ იყო. მე მაშინვე ვიციანი ის; მართლა რომ მშვენიერი — სახის გამომეტყველობა ქონდა, დიდრონი შავი თვალები უფრო ამშვენებდნენ იმის სილამაზეს. ზოლკოვნიკი ლედიარდი ძალიან მხიარულად დამხვდა, დამიწყო ღაზარაკი ჩემს მგზავრობაზე და შემდეგ გამაჩნო უფ. უაიონი.

— მარონა ხშირად მელაზარაკობდა ხოლმე თქვენზედ, ასე, რომ მე და თქვენ ძველი მეგობრები ვართ, მითხრა ნახის ხმით უაიონმა. ამ დროს ლედიარდმა უცებ წამოიძახა: მგონი სუყვალანი აქა ვართ და რატომ არ გვეძახიან სადილის საჭმელად, განა უცდით ვცემს?

— რა ვიცი, მამა, მე არავის ვედი, სთქვა მარონამ.

— მაშ, რომ არ მესმის რაღას გვალადინებენ—აიღო, თუ არა დასარკვეად წარი, ამ დროს უცებ, გაიღო ვარები და შემოვიდა მოსამსახურე.

— უფ. დეოისი გასლავთ! ახლად შემოსწრებული უცნობი შეიოსველის უმაღვე გაქქნა ზოლგოვნივისკენ სელის ჩამოსართმევად.

— ბოდიშს ვინდი უფ. ლედიარდო, რომ ამდენი ხანი გალადინეთ!

მე შევაძინე, რომ უფ. უაიონს კერაფრად ესამოვნა ეს სურათი.

— რა ცუდა დაჩია! წამოიძისა ზოლგოვნივმა, — მოხარული ვარ, რომ მოაგენით სახლს და გზა არ აკერიათ.

— მეც დიდი მოხარული გასლავართ, უნასუნა დეოისმა ჩემის სიცილით. მივიღე თქვენი დანატოეების წერილი თუ არა, მაშინათვე დავიწვე გამოკითხვა, რა გზით უნდა მომიგონო თქვენსას და აი, როგორც მსჯედით, ესლა თვეურს წინაშე გასლავართ.

მე შევასწარ მარინას თვალი, რომელიც თითქმის გამოტყრებით უფურებდა იმ უცნო გაცხს.

სუფერა გაშლილი გასლავთ, მოასსენა მოსამსახურემ. სუფველანი გაემგზავრნეს წვეილ-წვეილად იმ ოთახისკენ, სადაც სტოლი იყო გაშლილი. მე თუმიც მარტოკა მიხდებოდა ჟდომა, მაგრამ, რადგანაც უფ. დეოისი შეგვესწრო, ამისათვის მე და ის ერთად დაესხედით სადილის სტუმელად. ჟერაც არავინ იყო მიმგვდარი თუ ვისგან იყო დანატოეებული ეს უცნო გაცხა.

— უკაცრავად ვი კითხვისათვის და ზოლგოვნივი ლედიარდის ასული აქ არ გასლავთ? მკითხა დეოისი.

— როგორ არა, ის გასლავთ ჩემი ბიძაშვილი, სახელად მარინი; აგერ, სულ ბოლოში, რომ ქალი ზის!

— მამ თქვენ მძისწული ბრძანებულხართ ჩემი სახლის უფროსისა. მე ბეგრი ქება გამოგია მაგ ქალისა, მაგრამ ესლა, ძეგანი, ცოტა ვერ არის ფერზ დ და დადონებაც ეტეობა. თუ შეიძლება დეს ისიც მამბანეთ, ვინ არიან ესენი, რომელ წრე-

შინც მე ვიყოფები, უკაცრავად-კი, რომ გაწუხებთ, მაგრამ მომე-
 ტეება, როგორც ჯერ არა ცნობილს კაცს.

მე უთხარი სუყველას სასული და გუარი, ვინც კი იქ იყო.

— ის უმაწილი კაცი ვილას მარინას მარჯვნივ რომ ზის?

— ეგ გასლავთ უფ. უაიონი, ჩემი ბიძაშვილის საქმრო.

— დიას, დიას, მე გამიგია მაგასუ. მაშ ეგ არის უფ.
 უაიონი? საკვირველი სახის გამომეტყველება აქვს; თანახმა ხართ
 ჩემს აზრს? ეგ უმაწილი, კვანება, ქვრივია და, თუ არ ვცდები,
 წინაღ მაგას ეკუთნოდა ეს სასასლე? რასაკვირველია არ ესიამოვნ-
 ება, რომ სტუმრად ითვლება თავის აშენებულ სასლში; მაგრამ
 უნდა გამოგიტყუდეთ, რომ თქვენი ბიძაშვილი მართლაც ძალიან ლა-
 მაზი ყოფილა. მკონი ბიძა თქვენს მაგის შვიტი არავინა ჰყავს?

— არა, ზრავინა, ესე რომ, ბიძა ჩემის შემკვიდრე მსოფლად
 ეგ არის.

— საკვირველი ბედი მოსწევია უფ. უაიონს. შეიძლება ვი-
 თქვით რომ შირველი ცოლის სიკვდილი უხარინ კიდევ მაგ
 ვაჟ ბატონს, რაკი ამისთანა ქონება იშოვნა. უგანასკნული სიტ-
 ყვები ისეთი გაჯავრებით წარმოსთქვა, რომ მე ძალა უნებლიედ
 შეგხედე თვალეში. ღმან შემასწრო ეს და ისეთი სასე მაჩვენა,
 ვითომ და ძალიან მსიარულად ყოფილიყოს. ამის შემდეგ
 მარინსედ აღარ გვქონია ლაზარაკი. უფ. დუოისი ლაზარაკობდა
 სსვა-და-სსვა საგნებსე და სასოვადო ლაზარაკშიაც იღებდა მო-
 ნაწილეობას.

(შემდეგი იქნება)



რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნაბიძირიძე.